

„პირველთაგან იყო სიტყუაი...”

„პირველთაგან იყო სიტყუაი, და სიტყუაი იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუაი იგი” - იოანე [1,1]

ერთ ბრძენკაცს მოხდენილად უთქვამს - „ჩვენ, თანამედროვე ადამიანები, კოპერნიკივით ვაზროვნებთ, მაგრამ ვმეტყველებთ პტოლემეაიოსის ენით, როდესაც ვამბობთ - „მზე ამოვიდა”, „მზე ჩავიდა”...

მრავალს აღუნიშნავს, რომ ენა, ცოცხალი მუზეუმია. აქ დაცული „ენობრივი ექსპონატები” მანიშნებელია ერის თავგადასავლისა, ეროვნული ფსიქოლოგიის ნიშანდობლივი თვისებებისა და საუკუნეთა მანძილზე შემუშავებული ტრადიციებისა, ამიტომაცაა ენა ისტორიული კატეგორია!...

ენობრივი კონსერვატიზმის მეოხებით, (კონსერვატიზმისა, რომელიც შეხამებულია მეტყველების ბუნებაში ჩაქსოვილი შეგუება - განვითარებისა და სახეცვლილების უნართან) „ენის სული” უტყუარი და მჭერმეტყველი მოწმეა კაცობრიობის მიერ განვლილი გზისა და ცხადლივ მაჩვენებელი ჩვენი მეტყველების, როგორც „ცოცხალი ორგანიზმის”, სუნთქვისა და პულსაციისა შორეულ წარსულში.

ქართული ენის უნიკალურობაზე ბევრ დიდებულ პიროვნებას გაუმახვილებია ყურადრება:

ნიკო მარი: „ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რაგინდარა ენით. აზრი არ მოიპოვება არც ერთ ენაზე, რუსეთის ან დასავლეთის ევროპისა, რომ არა თუ ქართველმა სავსებით ვერ გამოითქვას, არამედ მხატვრულ ყალიბში ვერ ჩამოსახსას. ქართული ენა, განსაკუთრებით, ცოცხალი ქართული ენა, მაღალმხატვრულად გამოსახავს ყოველ აზრს და დაუმახინჯებლად და შეურყვნელად გადმოსცემს, ისე მდიდრულია ქართული ენა. შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებებით იგი მსოფლიო ენაა.”

პროფესორი რიჩარდ მეკელიანი, ქართველოლოგი: „გამოხატვის საშუალებებით ქართული ენა მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესია. ის არც სიტყვის მარაგით ჩამოუვარდება ყველაზე უფრო განვითარებულ ენებს”.

მარჯორი უორდროპი: „ქართული ენა შესანიშნავად ემორჩილება რიტმსა და რითმას. საქართველოში თითქმის ყველა ადამიანი ბუნებით მელექსეა.”

რუსი ენათმეცნიერი პ.კ. უსლერი (1816-1875): „ქართული ანბანი უკლებლივ აკმაყოფილებს ყველა იმ პირობას, რაც საერთოდ ანბანს მოეთხოვება. იგი არის ყველაზე სრულყოფილი ანბანი ანბანთა შორის. ყოველი ბგერა გამოიხატება ცალკეული ნიშნით, ყოველი ნიშანი მუდამ ერთი და იმავე ბგერის გამომხატველია“.

წმინდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძე: „ადამიანს მოაქვს ამ სოფლად თან სხვა საუნჯენიც, სხვა სიმდიდრენიც და ერთი სიმდიდრე ამ სიმდიდრეთა შორის არის მისი ენა. ქართული ენა - დედაენა! რამდენი დაწერილა ამ თემაზედ და ყველა ამ ნაწერებს, ცოტაოდენი გამონაკლისით,

¹ შ. ძიმიტური, ქართული ენის თავგადასავალი, მეცნიერება, თბ. 1990, გვ. 3

თავი რომ მოვუყაროთ და ამ სასწორზე დავდვათ და მეორე მხარეზე - მხოლოდ ერთი სიტყვა ამ ენის - ეს ერთი სიტყვა, თვის სიმძიმით და შინაარსით ბუმბულივით აისვრიდა ცაში ყველა ამ ნაწერებს. ტკბილი, მშენიერი, საამური, ლამაზი, ფაქიზი, სადა, მარტივი, მდიდარი, მოხდენილი და ღმერთმა იცის, კიდევ სხვა რა სახელწოდებით იხსენიებენ ამ ჩვენს ქართულ ენას. ჩვენი ეკლესია და ჩვენი ერი კი ამ ენას უფრო მაღალი სახელწოდებით იხსენებს. ეკლესიისთვის ეს ენა, ეს სიტყვა არის ღვთიური საწყისის: „პირველიდგან იყო სიტყვა და სიტყვა იგი ხორციელ იქმნა“. ჩვენი ერისთვის სიტყვა ნიშნავს იმავე დროს აზროვნებას, რომელიც მას განარჩევს პირუტყვისაგან... ჩვენ გვაქვს სიტყვა განცდილი, გამომუშავებული, ჩვენი წინაპრის მიერი ნაფიქრი და ნააზრევი, ერის მიერ შექმნილი და ამიტომაც არის, რომ ქართული სიტყვა, 2000 წლის, დღეს ჩვენთვის ესევე გასაგებია, როგორც იყო გასაგები ამ ორი ათასი წლის წინათ”.

ეს უნიკალური ფაქტი - კერძოდ ის, რომ დღევანდელ ქართველებს ძალგვიძს წავიკითხოთ და გავიგოთ მეხუთე საუკუნეში, მშობლიურ ენაზე, დაწერილი ტექსტი („იყო მერვესა წლსა, სპარსთა მეფისასა, კარად სამეფოდ წარემართა ვარსქენ პიტიახში...“ - გასაგებია დღევანდელი მკითხველისთვის), ნამდვილად განსაკუთრებულ მდგომარეობაში გვაყენებს სხვა ერებთან შედარებით; რომელთა შორისაც დღეს, ძნელად თუ მოიძებნება ისეთი ერი, რომელსაც ხელეწიფება მშობლიურ ენაზე ადრე შუასაუკუნეების ტექსტის წაიკითხვა (თუ მოეძიებათ ასეთი საერთოდ) და გაგება მისი შინაარსისა. გამომდინარე აქედან, გასაკვირი არ უნდა იყოს ის, რომ ქართველური - იბერიული მოდგმა, რომელიც კავკასიის ძირძველ მოსახლეობას წარმოადგენს, ათასწლეულთა მიღმა გახედვას არ გაურბის და თამამად უსწორებს თვალს შორეულ წინაპართაგან დღევანდელიობისკენ მომართულ მზერას. ალბათ, ესეცაა მიზეზი იმისა, რომ ქართველი ერის თანამედროვე ცხოვრებაში ხშირად ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც ერის ინტელექტუალური მზერა წარსულს გადასწვდება ხოლმე...

ადამიანი, როცა წარსულზე ფიქრობს, უკეთ გრძნობს წარსულსაც და მომავალსაც. აწმყო ცვალებადია, მომავალი უცნობი. მხოლოდ წარსულია საბოლოოდ დასრულებული. თუმცა წარსული თანდათან თვალს ეფერება, ბევრს რასმე დროის ბურუსში ფარავს, მაგრამ ადამიანს არ შეუძლია დაკარგოს წარსული და ყოველმხრივ აცხოველებს მას. თანაც ისე, რომ წარსული წარსულისთვის კი არა, არამედ დღევანდელიობისთვის და მომავლისთვის მოიხმოს.²

ყველაზე მეტად ეს მაშინაა შესაძლებელი, როდესაც ისტორიას ესთეტიკური რაკუსით ვუმზერთ - „წარსულის მემკვიდეობის ღრმა შესწავლა, მისი მიახლოება თანამედროვეობასთან, ღრმა და მრავალმხრივ ძიებებს ითხოვს. განჭვრეტა და ძიება ერთმანეთს ერწყმის. ისინი ხელს უწყობენ დღევანდელი კულტურის გამდიდრებას, მის შემოქმედებით შესაძლებლობებს აფართოებენ... ჭვრეტა უკავშირდება ხელოვნებას, ძიება -

² რ. სირამე, სახისმეტყველება, საუბარი ქართულ ესთეტიკაზე, ნაკადული, თბ. 1982 გვ. 42

მეცნიერებას, რომლებიც ებრძვიან კულტურის სიკვდილს. მათ ცოცხალი წარსული შემოჰყავთ ცოცხალ აწმყოში. ისინი ახორციელებენ დროთა კავშირს, ხალხების ურთიერთობას, განამტკიცებენ კაცობრიობის ერთიანობას“ (აკად. დ. ლიხაჩოვი).

ქართული კულტურის ძირითადი მახასიათებელი, როგორც ამას ხატოვნად და მართებულად აღნიშნავენ, არა ქმედითი, არამედ ჭვრეტითი ელემენტი³, რომელიც თავის მხრივ, სამ ფუძემდებლურ პრინციპს ეყრდნობა: ინდივიდუალიზმს, ნაციონალიზმს (ეროვნულობას) და თეიზმს (ღმრთივმორწმუნეობას). იგი გულისხმობს ქართველი ერის მიერ გავლილი გზის, ერის რაობისა და დანიშნულების, ეროვნული სახელმწიფო ინტერესების გააზრებას. მისი ფორმირებისთვის უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს ეროვნული არსის საგანძურს - წინაპართა სულიერ და ინტელექტუალურ მემკვიდრეობას, ისტორიულად ფორმირებულ და ყოფაში გადმოცემულ ტრადიციებს, ჩვეულებებს, საზოგადოებრივ ინსტიტუტებს, ჩამოყალიბებულთ გენის, ჯიშის ღვთითბობებულ საცხოვრებელ გარემოსთან ერთგვარ „ბიოცენოზში“ შესვლის შედეგად.

ყოველ დროს თავისი წარსული აქვს, ან ახლობელი, ხანაც უფრო შორეული. „სულ რამდენიმე ათეული წლის უკან, ჩვენში ყურადღებას აქცევდნენ მეცხრამეტე საუკუნეს, ანტიკურ ხანას ან რენესანსს. ბოლო დროს გაცილებით გაცხოველდა ინტერესი შუა საუკუნეებისადმი. თვით რენესანსელები თავიანთ უშუალო წარსულს, შუა საუკუნეებს განუდგნენ და ანტიკურობას მიმართეს. ისინი ჰგვანან ყმაწვილებს, რომლებიც მშობლებს დაუპირისპირდნენ და პაპებთან დაახლოვდნენ“ (ა. ლოსევი)⁴.

რომანტიკოსებმა კვლავ ააღორძინეს შუა საუკუნეები. ჩვენი დრო ცდილობს უნივერსალური იყოს და მთელი წარსული მთლიანობაში წარმოიდგინოს; წარსულის მთლიანობაში წარმოდგენის ყველაზე სრულყოფილი გზა კი ესთეტიური გზაა. ეს ჩვენ თვით წარსულიდან შეგვიძლია ვისწავლოთ, სადაც უძველესი ხანებიდან ღირებულებებს და მათ აღმნიშვნელ სისტემებს, მათ შორის განსაკუთრებით ნიშანთა სისტემას, ერთერთი უმნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა... ნიშნებს უდიდესი ზეგავლენის მოხდენა ძალუძთ, თუნდაც დროთა მდინარეებში სახეცვლილის, დღევანდელიობაზე⁵; მაგ. ჩვენს მუზეუმებში შემონახულია გვიანი ბრინჯაოს ხანის გრავირებული სარიტუალო, მსხვრპლთა შესწირი კოლხური ცულები; დღეს მათ დაკარგული აქვთ დანიშნულება და თანამედროვე ადამიანზე მხოლოდ ესთეტიურ ზეგავლენას ახდენენ, ისე რომ მუზეუმის ვიტრინებში მათ შემხედვარე დამთვარიელებელთ სადღაც ბუნდოვნად, ისიც ზოგიერთებს, თუ წარმოუდგებათ მათი შემზავარავი (მაგალითისთვის გავიხსენოთ პიერ პაოლო პაზოლინის ფილმი „მედეა“), ხშირად კანიბალიზმთან დაკავშირებული, ფუნქცია...

³ მ. კოსტავა, ფიქრები საქართველოს მისიაზე, თბ., 1991. გვ. 23

⁴ Лбсев А. Ф. Философия. Мифология. Культура. М.: Мысль, 1991. გვ. 37

⁵ რ. სირამე, სახისმეტყველება, საუბარი ქართულ ესთეტიკაზე, ნაკადული, თბ. 1982 გვ. 42

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ერის ცხოვრების კრიტიკულ მომენტებში განსაკუთრებით ძლიერდება ბუნებრივი ლტოლვა საკუთარი ისტორიისადმი და მისი გამომხატველი ერთი შეხედვით არქაული, თუმცა დროსა და სივრცეში მდგრადი, ეროვნულობის ნიშნით აღბეჭდილი ფორმებისადმი. ასეთ შემთხვევაში ხშირად, თავს წამოყოფენ ხოლმე ფსევდოინტელექტუარი ძალები, რომლებიც, სამწუხაროდ, სიბნელის და გარდასულობის ჭაობისკენ ექაჩებიან ერს და იმგვარ ფორმებს შეაჩეჩებენ ხოლმე მომძლავრებულ ეროვნულ ენერგიას (თავისთავად თვითგადარჩენის ერთგვარ იმუნომასტიმულირებელ ძალას), რომლებიც გზას დაუბნევენ მას. ამგვარ „ხვნას და თესვას“ კი, ისეთ სავალალო შედეგებამდე მივყავართ ხოლმე, რის შესახებაც ხშირად დაუჩივლია ერს - „სულელი საქმეს წაახდენს, ფათერაკს დააბრალებსა“- ო...

საბედნიეროდ, სწორედ ამ დროს, ერის საუკეთესო შვილები, ცდილობენ იტვირთონ ხოლმე, ხშირ შემთხვევაში თანამედროვეთაგან დაუფასებელი, ერის წინამძღოლთა ფუნქცია და საკუთარი სიცოცხლის ფასადაც კი, როგორმე მოახერხონ მშობელი ერისა და საზოგადოების სასიცოცხლო ღირებულებზე, დროსა და სივრცეში უცვლელ და მდგრად ღირებულებებზე, ორიენტირება.

მსჯელობდა რა ქართველი ერის ისტორიის საკითხებზე და კერძოდ კი ერთიანი ქართველთა სახელმწიფოს დაშლის პირობებსა და მიზეზებზე, დიდი ივანე ჯავახიშვილი წერდა - „ქვეყნის დაქვეითების ფსიქოლოგიური საფუძველი - უიმედოთ სიცოცხლე თუ მთლად შეუძლებელი არა, უხალისო ცხოველურ არსებობად იქცევა ხოლმე. ხოლო რამდენადაც უფრო ძლიერია იმედი, იმდენად უფრო ძლიერია ხოლმე ამ იმედების გაცრუებით გამოწვეული სასოწარკვეთილება. დიდი, სტიქიურის მსგავსი უბედურების, ან ძლიერი მტრისგან დამარცხების შემდგომ, ხსნისა და გამოსავლის უიმედობის გრძნობა და შიში, ზოგჯერ, დამაცხებული, გაჭირვებაში ჩავარდნილი ერის ნებისყოფას სტეხს, სულიერად აკნინებს და ზნეობრივად აძაბუნებს ხოლმე. ასეთს მდგომარეობაში ადამიანის არსებაში ეგოისტური გრძნობა და ცხოველური თავდაცვის ალლო იღვიძებს და მაშინ, პირად კეთილდღეობაზე მზრუნველობა, საერთოსაზე სძლევს ხოლმე და სახელმწიფოებრივობა და საზოგად ინტერესი კერძოსა და პირადულს სულისკვეთებას უთმობს ბატონობას. სახელმწიფოს შემადგენელი ერთეული, თვით კერძო პიროვნებაც უპირველესად თავის თავის, თავის თემის, თავისი კუთხის გადარჩენაზე იწყებს ფიქრს და საერთო კეთილდღეობაზე მზრუნველობის თავიდან მოცილებას ცდილობს. როგორც დაბალი ფიზიკური სხეული, განსაცდელის დროს, თავდაცვის მიზნით იკუმშება და თავის ქერქში ძვრება ხოლმე, ისევე სოციალურ სხეულს ემართება და რაკი სახელმწიფოსი და საერთო ძალის უკვე იმედგადაწყვეტილობაა ხოლმე გამეფებული, ასეთ პირობებში შეიძლება სახელმწიფოებრივობის დაქვეითებისა და დაშლის პროცესიც დაიწყოს. დაქვეითების პროცესი - ამ დაშლა-დანაწილების მისწრაფების დროს, სახელმწიფოებრივობის განვითარების გზა, თითქოს კვლავ განვლილი უნდა იყოს ხოლმე უკუქცევითი მიმართულებით, იმავე საფეხურებზე

თანდათან ჩამოქვეითებით, რომელიც მას სახელმწიფოს შექმნის დროს ზეადმავლობით განვლილი ჰქონდა. სახელმწიფო შემადგენელ ნაწილებად, წინანდელ სამეფოებად და თემებად იწყებს განკერძოებას: გავლენიან წრეებში და ხალხში თემობრივისა და ტომობრივის გაბატონებას ვედარაფერი ელოდება, თვით გაყრილი გვარიშვილებიც კი თავიანთ საგვარეულოს იგონებენ და განსაცდელ-გაჭირვების წინააღმდეგ საერთო ძალით იწყობენ ბრძოლას; გაყრილობის პროცესი შეყრილობის პროცესს უთმობს ადგილს და შესამლებელია ასეთ პირობებში გვაროვნული წესწყობილებაც კი აღდგეს. ასეთ დროს დღევანდელ, პირადად, გინდაც ნაწილობრივს, კეთილდღეობას რჩეობენ ხვალინდელისა ან მომავლისას და ივიწყებენ, რომ ყოველსავე გაჭირვებას თუ ძალმომრეობას თავისი დასარული აქვს ხოლმე და ბოლოს და ბოლოს ერის ერთადერთი ხსნა ერთობა-განუყოფლობაშია და მტერი, თუ ცხოვრების დუხჭირი მძიმე პირობები, მათ უფრო ადვილად მოერევა, ვიდრე გაერთიენებულ-გაკაჟებულს. რამდენადაც უფრო დიდი იყო თავზე დამტყდარი უბედურება და რამდენადაც უფრო ფართოდ იყო მოდებული ხალხში და ღრმად ჩამჯდარი განსაცდელით გამოწვეული უიმედობა და სასოწარკვეთილება, ამასთანავე რამდენადაც სუსტი იყო სახელმწიფოს ხელისუფლება და ძლიერი კულტურული დაქვეითება, იმდენად უფრო ადვილად და სწრაფად მიმდინარეობდა ხოლმე და მიმდინარეობს სახელმწიფოებრივი დაშლის ზემოაღნიშნული პროცესი.⁶

გულდასმით გადავიკითხავთ რა ამ ამონარიდს დიდი ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიიდან“, რამდენ საერთოს დავინახავთ ჩვენს დღევანდელობასთან - ქართველ ერს ხომ დღესაც გარდამტეხი პერიოდი, სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და გამკვიდრების მორიგი პერიოდი უდგას საკუთარ მრავალსაუკუნოვან ისტორიაში...

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისტორიზმისაკენ, განსაკუთრებით ერის ცხოვრებაში გარდამტეხ მომენტებში, მიდრეკვის ბუნებრივი ლტოლვა ხშირად ხდება ხოლმე მანიპულირების საგანი და სწორედ აქ უნდა გამოვლინდეს ერის ინტელექტუალური დონე, რათა უშეცდომოდ განისაზღვროს ის ღირებულებანი, ნიშანთა სისტემებში (იქნება ეს ალამი, ლოზუნგი, შემახილი, რუკა, სახელი თუ სხვა სახისმეტყველებითი სიმბოლო) გაცხადებულნი, რომელნიც ეროვნულ ენერჯისთვის დროულად ჩართული შუქნიშნის დანიშნულებას შეასრულებენ; სწორ კალაპოტში მიმართავენ მას და ქაოსსა და გაურკვეველობაში არ ჩაძირავენ.

სამწუხაროდ, ხშირად, ასეთ დროს, საღ მეცნიერულ მსჯელობას წინ უსწრებს ემოცია და ცხელი გული⁷; უთუოდ ამას გულისხმობდა დიდი

⁶ ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წიგნი მე-4, ნაკ. 1 თბ. 1924 გვ. 196-197

⁷ თუმცა, აქვე აუცილებლად უნდა ითქვას ისიც, რომ ცივ გონებას თუ ცხელი გული (ზემთაგონება) არ მიუმატე, ვერასდროს მიიღებ ღირებულ, ფასეულ ნაღვაწს, რომელიც გასცდება აწმყოს ხლართებს და მომავალ თაობებს წარსულთან დაკავშირების საშუალებას მისცემს. არადა ეს უნარი უნდა გააჩნდეს ნებისმიერი ისტორიული ხასიათის ნაშრომს. ეს თვისება განასხვავებს სწორედ ერთიმეორისგან „გენიოსთა“ და „კეთილსინდისიერ

ქართველი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი, როდესაც წერდა თავის ცნობილ წერილს - „მამულიშვილობა და მეცნიერება“; იგი ხშირად მოძღვრავდა იმ პერიოდის ქართულ საზოგადოებას სტყევებით - „საჭიროა ხალხმა იცოდეს თავისი წარსული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია... უნდა იცოდეს, რასაკვირველია, უტყუარი, ჭეშმარიტი ისტორია და არა გაზვიადებული, ყალბი“. რადგანაც სიყალბეს, დაფუძნებულს არაპროფესიონალიზმზე, ბევრჯერ სწორი გზიდან გადაუცდენია ეროვნული სახელმწიფო, საიდან გამობრუნებასაც დიდი დრო დასჭირვებია...

გადავავლებთ რა თვალს, ჩვენს თვალწინ განვითარებულ საქართველოს უახლეს ისტორიას, უთუოდ მრავალი საინტერესო პერიპეტია წამოტივტივდება, რომლებიც გარკვეული ნიშანი - სიმბოლოებით აღიბეჭდა დროთა მდინარეებში... გაგვახსენდება ეროვნული მოძრაობის პერიოდის მიტინგები, რომელთაც წინ უძღოდა ალექსანდრე ბატონიშვილის, ილია ჭავჭავაძის და ქაქუცა ჩოლოყაშვილის პორტრეტები.



ფაქტიურად, ამ სიმბოლოებით გაცხადებული პოლიტიკური გეზის თანახმად - 1918-21 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, აღიარებული ერთა ლიგის მიერ, ოკუპირებულ-ანექსირებული იყო მეზობელი რსფსრ-ს მიერ და იგი უნდა განთავისუფლებულიყო.

საბოლოოდ, ვითარებამ დაადასტურა, ამ პოლიტიკური გეზის სისწორე, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე მიგვიყვანა; ამრგად, საქართველო, როგორც სახელმწიფო თავიდან კი არ იქმნებოდა სსრკ-ს დაშლის შედეგად⁸, არამედ გამოდიოდა სამართალმემკვიდრე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა. გამომდინარე აქედან, მას, როგორც აგრესორიგან განთავისუფლებულ ოკუპირებულ - ანექსირებულ ქვეყანას, საერთაშორისო სამართლის ნორმების გათვალისწინებით, გარკვეული უფლებები ენიჭებოდა.

ამ მოვლენების შემსწრეთ, კარგად ემახსოვრებათ, რომ ამ სიმბოლოების პარალელურად, გარკვეული ძალების მიერ, მრავლად იყო „შემოთავაზებული“ სხვა სიმბოლო-ნიშნები - ფეოდალური ხანის დროშებისა და შტანდარტების თუ იდეების სახით - „საქართველო თეოკრატიულ სახელმწიფოდ უნდა ჩამოყალიბდეს“, „ჯერ დემოკრატია და

სწავლულთა“ ნაშრომებს”(ზვიად გამსახურდია, წერილები, ესსეები, ხელოვნება, თბ. 1991, 454).

⁸ ეს თეზა გაცხადებული იქნა საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაშიც.

შემდეგ დამოუკიდებლობა”, „ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლა დგას”, „გამოვაცხადოთ საქართველო ოკუპირებულ ქვეყნად” და ა.შ.

საქართველოს უახლესი ისტორიიდან, სახისმეტყველებითი კუთხით, კიდევ მრავალი საინტერესო მაგალითის მოყვანა შეიძლება, სადაც ნათლადაა გაცხადებული ქართველი ერის თანამედროვე ცხოვრებაში მიმდინარე კონტრასტული და მღელვარე მომენტები... ალბათ ბევრს ახსოვს, რუსთაველის პროსპექტზე არსებული მაღაზია „სამება”⁹ (რომელსაც სახელი 1991 წელს უწოდეს), ქვეყანაში პოლიტიკური კურსის ცვლილების შესაბამისად (1992 წელს), როგორ იქცა მაღაზია „სამება“-დ (ბევრი არ უფიქრიათ, უბრალოდ „ენი” ამოაგდეს...); ანდა „იბერია”, როგორ იქცა კვლავ „დინამოდ”, „აია” - „ტორპედოდ”... საზოგადოებრივ მეტყველებაში ძლივს-ძლივობით დამკვიდრებული „ნამალადევი” კვლავ „ნახალოვკად” (ახლა უკვე საზ. ტრანსპორტის ტრაფარეტებზე გამკვიდრებული); „კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი” კვლავ „პეკინად”¹⁰ და ა.შ.

ამ ბოლო ხანებში მიზანმიმართულად ხდება ჩვენი დედაქალაქის - „თბილისი“-ს სახელის რუსული იმპერიული ფორმის - „Тифлис” აგიტირება და გამკვიდრება... ამ სახელწოდებით გაჩნდა რესტორნები, სასტუმროები, ტურისტულ - სახელოვნებო ცენტრები და თქვენ წარმოიდგინეთ კვების პროდუქტებიც - მაგ. კარაქი „ტიფლისი”, რომლის რეკლამირებაც ფართოდ მიდის სატელევიზიო სივრცით...

სამწუხაროდ, ეს ყოველივე ინიღბება და იფუთნება ყალბი „ისტორიზმის” და „ტრადიციულობის” ჭრელა - ჭრულა საფარველში და ამით, ფაქტიურად მკვიდრდება რუსული იმპერიული ფორმა.

ქართლის ცხოვრება გვამცნობს - “დაჩიმ განასრულა ზღუდენი ტფილისისანი და ვითა ებრძანა ვახტანგს, იგი შექმნა სახლად სამეფოდ”. ქართულ ისტორიულ წყაროებში სახელწოდება - „ტფილისი” პირველად სწორედ აქ გვხვდება. დაარსების დღიდან 1936 წლამდე საქართველოს დედაქალაქი ტფილისად იწოდებოდა. 1936 წლის 17 აგვისტოს კი სსრ კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა, რომ თანახმად სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სახელმწიფო აგეგმვისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველოს ბიუროს წარდგენისა, დამტკიცებულ იქნა ახალი ფორმები საქართველოს რამდენიმე ქალაქის სახელწოდებისა (მათ შორის თბილისისაც). ეს ახალი ფორმები უფრო ახლოს იდგა ქართულ გამოთქმებთან, ვიდრე წინანდელები. თუ წინათ რუსულად იწერებოდა Тифлис, Ахалцих, Батум, Мцхет და სხვა, ამიერიდან უნდა შემოეღოთ Тбилиси, Ахалцихе, Батуми, Мцхета და სხვა. დადგენილებას, რომელიც 1936 წლის 22 აგვისტოს “იზვესტიაში” გამოქვეყნდა, ხელს აწერდნენ საბჭოთა კავშირის ცენტრალური

⁹ ისიც საკითხავია სავაჭრო ობიექტს „სამება“ რატომ უნდა დაერქვას?! ესეც ნათელი მაგალითია ისტორიზმიკენ გაუკუღმართებული მიდრეკვისა...

¹⁰ ვითომ ჩინეთის დედაქალაქის სახელს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ქართველი ერის ცხოვრებაში ვიდრე ქართული მწერლობის კლასიკოსს?!

აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე კალინინი და მდივანი აკულოვი.

ამ საკითხზე ოდნავ მოგვიანებით აკაკი შანიძე წერდა: “რაც შეეხება ქართულ სახელწოდებას, ძველებური ფორმის ხმარებას (ტფილისისას) კიდევ განაგრძობდნენ ერთხანს, მაგრამ იყო კამათი: ზოგი მოითხოვდა დარჩენილიყო ტფილისი, ზოგი კი თბილისს უჭერდა მხარს. კერძოდ, მეც მომიხდა ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე სპეციალურად შევხებოდი ამ საკითხს, მოვითხოვდი, რომ, რაკი ამჟამად ითქმის და იწერება თბილი (და არა ტფილი), ამიტომ ქალაქის სახელიც თბილისი უნდა იყოს და არა ტფილისი-მეთქი. ახალმა ფორმამ - „თან“-ით, თბილისმა საბოლოოდ 1937 წლიდან მოიკიდა ფეხი.”

გამომდინარე აქედან, ფორმა „ტიფლის“-ის სახით საზოგადოებრივი აზრის ისტორიზმისკენ მიდრეკვის მცდელობასთან რომ გვექონდეს საქმე, ეცდებოდნენ ქართული ფორმა - „ტფილისი“-ს დამკვიდრებას; თუმცა, დავეყრდნობით რა დიდი ენათმეცნიერის ზემოთ მოტანილ დასკვნას, არც ეს იქნებოდა გამართლებული.

აქვე გვინდა მოვიტანოთ ამ კუთხით ყურადსაღები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ამ ბოლო ხანებში გავრცელებული, ცნობა იმის თაობაზე, რომ მოსკოვში გამოსვლას დაიწყებს ქართულენოვანი ჟურნალი "ტიფლისი". ჟურნალის პირველი ნომერი მიეძღვნება საქართველოს პატრიარქის დაბადების 80 წლისთავს და მის ვიზიტს მოსკოვში. ქართულენოვანი ჟურნალის "ტიფლისის" გამოცემის დაფინანსებაში მოსკოვში მცხოვრები ქართველები მიიღებენ მონაწილეობას.

ყოველივე ამას ემატება ისიც, რომ რუსეთის დღევანდელი ხელისუფლება ხმამაღლა აცხადებს - „რუსეთის იმპერიაში სწორედ გეოგრაფიული და არა ეთნიკური ნიშნით ერქვათ სახელები რეგიონებს, **„მაგალითად იყო ტიფლისის გუბერნია და არა საქართველო“...**

ყოველივე ზემოთ თქმულის საფუძველზე, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ქართულ მეტყველებაში (ერთი შეხედვით უმნიშვნელო, მაგრამ არსებითი) ნიშან-სიმბოლო „ტიფლის“ - ის დამკვიდრების მცდელობა შემთხვევითი არ უნდა იყოს და იგი გარკვეული პოლიტიკური ორიენტირების გამყარებას უნდა ემსახურებოდეს...

ჩვენს წერილს ვასრულებთ აკად. აკაკი შანიძისვე სიტყვებით:
„აბა, ფხიზლად, ქართველებო! მივჰყვეთ მამა-პაპათ კვალსა!
წარსულს გრძნობით ვიგონებდეთ, ჩავუფიქრდეთ მომავალსა!
ცალი თვალი პონტოსაკენ, ნუ ვაშორებთ გურგანს ცალსა,
ყური ვუგდოთ გურჯი ბოლაზს და ნუ ვაღებთ დარიალსა!“